

შეტყობინება მეხუთე

ქანაანის მიწის ნაყოფები და კეთილი მიწის დანაწილების სიღრმისეული მნიშვნელობა

ადგილები წერილიდან: იესო ნ. 5:12; 13:1–22:34; კოლ. 1:12; საქმე. 26:18

- I. მას შემდეგ, რაც ისრაელის შვილები შევიდნენ ქანაანის მიწაზე, მანანა შეწყდა; მანანა აღარ იყო, და ჭამდნენ ისინი ქანაანის მიწის მოსავლიდან – იესო ნ. 5:12:
- ა. ის, რომ მანანა შეწყდა, როდესაც ხალხმა დაიწყო მიწის ნაყოფების ჭამა, მიუთითებს იმაზე, რომ მიწის ნაყოფები იყო მანანის გაგრძელება.
 - ბ. მანანა, რომელსაც ისრაელი ჭამდა თავისი ხეტიალის დროს უდაბნოში (გამ. 16), არის ქრისტეს როგორც ზეციური საკვების წინასახე, რომელსაც აძლევდა უშუალოდ ღმერთი თავის ამორჩეულ ხალხს და არ ითხოვდა არავითარ შრომას მათი მხრიდან, ვინც ჭამდა ამ საკვებს.
 - გ. მდიდარი ნაყოფები დაპირებული მიწისა, მიცემული ღმერთის მიერ ისრაელისათვის მათი ბრძოლისას ქანაანში, არის წინასახე ქრისტესი, როგორც დასრულებული სასიცოცხლო შეწვენისა, რომელიც ეძლეოდათ მორწმუნეებს და მოითხოვდა მათ შრომას მასზე – რჯულ. 8:7-10:
 1. როგორც ჩანს წინასახეებიდან აქ, მას შემდეგ, რაც მოვიპოვებთ ქრისტეს, როგორც მიწას, ჩვენ უნდა ვიშრომოთ მასზე, რათა წარმოვქმნათ რაღაც მისგან, რაც გახდება ჩვენი საკვები, ჩვენი სასიცოცხლო შეწვენა.
 2. როდესაც ჩვენ ვჭამთ ქრისტეს და ვტკბებით მისით როგორც კეთილი მიწის ნაყოფით, ჩვენ შევდგებით მისით, ვხდებით ისეთივე, როგორც არის ქრისტე, სიცოცხლეში, ბუნებასა და გამოხატულებაში – იოანე 6:57; ფილიპ. 1:19-21ა.
 3. საბოლოოდ ჩვენი ტკბობა ქრისტეთი როგორც ჩვენი მემკვიდრეობით, ჩვენი კუთვნილებით, გაგვხდის ჩვენ შემადგენლობით ღმერთის მემკვიდრეობად, ღმერთის საგანძურად და კუთვნილებად – ეფეს. 1:11-14, 18ბ; შდრ. გამ. 19:5.
 - დ. ეგვიპტეში, უდაბნოში და კეთილ მიწაზე ისრაელის ხალხი განიცდიდა ჭამის სამ ეტაპს:
 1. ეგვიპტეში ისრაელის ხალხი ჭამდა პასეჟის კრავს – 12:3, 8-9:
 - ა) ისევე როგორც პასეჟის კრავის შემწვარი ხორცი უნდა ეჭამათ, რათა მიეღოთ სასიცოცხლო შეწვენა, ასევე ჩვენ უნდა ვჭამოთ ქრისტე, რათა მივიღოთ სასიცოცხლო შეწვენა – მუხ. 8-10; 6:53, 55-57:
 - 1) იმისათვის, რომ გადაიჭრას ადამიანის დაცემის პრობლემა და განხორციელდეს ღმერთის თავდაპირველი განზრახვა, აუცილებელია სიცოცხლე, და გამოსყიდვა.
 - 2) ღმერთის მიერი იურიდიული გამოსყიდვა ქრისტეს სისხლით არის ღმერთის მიზნის მიღწევის პროცედურა, რომ დაარიგოს

ჩვენში ქრისტე როგორც სიცოცხლე ჩვენი ორგანული გადარჩენისათვის – რომ. 5:10.

- ბ) ისრაელის შვილები უნდა ჭამდნენ პასექის კრავს მის თავთან, ფეხებთან და შიგნეულთან ერთად – გამ. 12:9:
- 1) თავი აღნიშნავს სიბრძნეს, ფეხები აღნიშნავს საქმიანობას და მოძრაობას, ხოლო შიგნეული აღნიშნავს ქრისტეს არსების შინაგან ნაწილებს, მათ შორის მის გონებას, გრძნობებს, ნებას და გულს მათ ყველა ფუნქციასთან ერთად.
 - 2) პასექის კრავის შეჭმა თავთან, ფეხებთან და შიგნეულთან ერთად – ნიშნავს ქრისტეს მიღებას მის მთლიანობაში მის სიბრძნესთან, მის ქმედებასა და მოძრაობასთან და მის შიგნეულთან ერთად – იოანე 6:57; 1 კორ. 1:24; გამოცხ. 14:4ბ. ფილიპ. 1:8.
2. უდაბნოში ისრაელის ხალხი ჭამდა მანანას – გამ. 16:14-16, 31; რიცხ. 11:7:
- ა) როდესაც მისცა თავის ხალხს საკვებად მანანა, ღმერთმა აჩვენა, რომ მას განზრახული ჰქონდა, შეეცვალა მათი შემადგენლობა მათი რაციონის შეცვლით – გამ. 16:14-15:
- 1) სახელის თანახმად ისრაელის შვილები არ იყვნენ ეგვიპტელები, მაგრამ ბუნებისა და შემადგენლობის თანახმად ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ ეგვიპტელებისაგან – მუხ. 3.
 - 2) ეგვიპტის რაციონი აღნიშნავს ყველაფერს, რითიც გვინდა კვება, რათა მივიღოთ დაკმაყოფილება – რიცხ. 11:4-6.
- ბ) ღმერთს უნდოდა, რომ მის გამოსყდულ ხალხს დაევიწყებინა ეგვიპტური რაციონი და ზიარებოდა ზეციურ საკვებს – რჯლ. 8:3:
- 1) რაც უფრო მეტად შეეჭამო მანანას, უფრო მეტად შეევესაბამებით ღმერთს, გაიგივებულნი ვიქნებით მასთან და ვიცხოვრებთ და ვივლით იმის თანახმად თუ როგორია ის.
 - 2) ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში უფალთან ჩვენ ყველაზე მეტად გვეხმარება ქრისტეს ჭამა როგორც ზეციური საკვების; ქრისტეს ჭამით, ჩვენ ვხდებით ქრისტე, ანუ ქრისტე ხდება ჩვენი შემადგენელი ელემენტი – იოანე 6:56-58.
3. ქანაანში ისრაელის ხალხი ჭამდა კეთილი მიწის ნაყოფებს – იესო ნ. 5:11-12:
- ა) ჭამის მესამე ეტაპზე ისინი ჭამდნენ კეთილი მიწის მდიდრულ შეწვენას, რომელმაც უფრო მეტად შეეცვალა მათი შემადგენლობა და გახდა ისინი გამარჯვებული ხალხი.
- ბ) კეთილი მიწა იყო მიწა ხორბლის, ქერის, ვენახის, ლეღვის, ბროწეულის, ზეთისხილის ხეებისა ზეთთან და თაფლთან ერთად – ეს ყველაფერი არის წინასახეები ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრისა – რჯლ. 8:8; ეფეს. 3:8.

- გ) კეთილი მიწის სიმდიდრეებით ტკბობის წყალობით ისრაელის ხალხმა გაიმარჯვა ტომებზე ამ მიწაზე, დაამყარა ღმერთის სამეფო და ააშენა ტაძარი როგორც ღმერთის საცხოვრებელი დედამიწაზე – იესო ნ. 5:11-12.
4. ეს სამი ეტაპი არის იმ სამი ეტაპის წინასახე, რომელზეც მორწმუნეები ტკბებიან ქრისტეთი ქრისტეს ჭამის მეშვეობით – იოანე 6:51-57; 1 კორ. 5:7-8; 10:3-4; ფილიპ. 1:19:
- ა) ჭამის წყალობით პირველ ორ ეტაპზე მორწმუნეები დებულობენ ენერჯიას ქვეყნიერებიდან გამოსვლისა და ქრისტეთი როგორც ზეციური ელემენტით შედგენისათვის – იოანე 6:51-57; 1 კორ. 5:7-8; 10:3-4.
- ბ) იმისათვის, რომ მივადწიოთ ღმერთის სახლმშენებლობის მიზანს, ჩვენ უნდა წავიდეთ წინ, სანამ არ გადავალთ უმაღლეს ეტაპზე – ქრისტეს როგორც კეთილი მიწის მდიდარი ნაყოფების ჭამის ეტაპზე, რაც ნებას მოგვცემს, რომ გავიმარჯვოთ სულიერ მტრებზე, ავშენდეთ, რათა გავხდეთ ღმერთის საცხოვრებელი და დავამყაროთ ღმერთის სამეფო დედამიწაზე.
- გ) როდესაც ჩვენ ვჭამთ ქრისტეს, როგორც კეთილი მიწის ნაყოფებს, ჩვენ შევდგებით მისით და ვხდებით ისეთივე, როგორც ქრისტე, სიცოცხლეში, ბუნებაში და გამოხატულებაში ეკლესიის, როგორც ქრისტეს სხეულის ასაშენებლად – ეფეს. 4:16.

II. სიღრმისეული მნიშვნელობა კეთილი მიწის განაწილებისა არის ის, რომ ჩვენ, მიწის მფლობელები, განვიცდით ერთსა და იმავე ქრისტეს სხვადასხვაგვარად – იესო ნ. 13:1–22:34:

- ა. ღმერთის სახლმშენებლობაში არის რაღაც, რასაც ეწოდება მიწის განაწილება – კოლ. 1:12.
- ბ. მას შემდეგ, რაც იესო ნავეს ძე დაეუფლა მიწას, ღმერთმა უბრძანა მას, გაენაწილებინა ის მიწა, რომელიც მან უკვე მოიპოვა, და ის მიწაც, რომელიც მას ჯერ კიდევ არ ქონდა მოპოვებული, რადგან ღმერთის თვალში მთელი მიწა განკუთვნილი იყო ისრაელისათვის – იესო ნ. 13:6:
1. თავის სიბრძნეში ღმერთმა არ მისცა კეთილი მიწა მთლიანად როგორც ხვედრი ისრაელის ყველა შვილს; სხვადასხვა მუხლებს მან გამოუყო მიწის თავიანთი ხვედრი, ანუ ქრისტე – მუხ. 7.
 2. ვინაიდან მუხლები განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, ღმერთს არ შეეძლო მიეცა ყველა მუხლისათვის ერთნაირი ხვედრი მიწისა ერთი და იმავე გზით.
 3. ყველა მუხლმა მიიღო მფლობელობაში მიწა, მაგრამ ამასთან ერთად მათ მიიღეს კონკრეტული ხვედრი მიწისა იმის თანახმად, თუ როგორები იყვნენ – 14:6-15; 18:1–19:27.
 4. ეს წინასახე მიწის განაწილებისა სრულდება დღეს ჩვენ შორის – კოლ. 1:12:

- ა) ჩვენ ყველას გვყავს ერთნაირი ქრისტე, მაგრამ განვიცდით ქრისტეს სხვადასხვანაირად – 1 კორ. 1:2.
 - ბ) მიწა (ქრისტე), რომელსაც ჩვენ ვფლობთ, შეესაბამება იმას, თუ როგორები ვართ ჩვენ – რომ. 12:3; ეფეს. 4:7.
- გ. კოლ. 1:12-ში პავლე, როდესაც საბრობს „წმიდანების ხვედრზე“ იყენებს ყოვლისმომცველი მიწის გაგებას:
- 1. ბერძნული სიტყვა, ნათარგნი როგორც „ხვედრი“, შეიძლება ასევე გულისხმობდეს „წილს“, რაც მიუთითებს გარკვეულ წილზე.
 - 2. როდესაც პავლე წერდა კოლოსელთა მიმართ წერილს, მას წარმოდგენილი ჰქონდა, თუ როგორ ნაწილდებოდა კეთილი მიწა ისრაელის შვილებს შორის; მან გამოიყენა სიტყვა „წილი“, და ფონის სახით გამოიყენა ძველი აღთქმისეული მონათხრობა დედამიწის შესახებ – იესო ნ. 14:2:
 - ა) კოლოსელთა მიმართ წერილში ქრისტე გახსნილია როგორც ჩვენი წილი, ჩვენი ხვედრი – 1:15-19; 2:6-15.
 - ბ) როგორც ქანაანის მიწა იყო ყველაფერი ისრაელის შვილებისათვის, ასევე ქრისტე, კეთილი მიწის წინასახის სინამდვილე, არის ყველაფერი ჩვენთვის – 1:12.
 - 3. ქრისტე როგორც პირველობის მქონე და ყოვლისმომცველი არის ხვედრი წმიდანებისათვის – მუხ. 12.
 - 4. ახალი აღთქმისეული მორწმუნეების ხვედრი არის არა ფიზიკური მიწა, არამედ ყოვლისმომცველი ქრისტე როგორც მაცოცხლებელი სული – 2:6-7; გალ. 3:14:
 - ა) კეთილი მიწის სიმდიდრე არის წინასახე ქრისტეს აურაცხელი სიმდიდრის სხვადასხვა ასპექტისა როგორც უხვი შეწევნის მისი მორწმუნეებისათვის მის სულში – რჯლ. 8:7-10; ეფეს. 3:8; ფილიპ. 1:19.
 - ბ) მიწის სიმდიდრეებით ტკობის წყალობით მორწმუნეები ქრისტეში შენდებიან, ხდებიან მისი სხეული როგორც ღმერთის სახლი და ღმერთის სამეფო – ეფეს. 1:22-23; 2:21-22; 1 ტიმ. 3:15; მათე 16:18-19; რომ. 14:17.
- დ. საქმეების 26:18-ში პავლე უწოდებს ყოვლისმომცველ ქრისტეს ჩვენს მემკვიდრეობას:
- 1. იმის შედეგად, რომ ჩვენ აგვეხილება თვალი და ჩვენ აღმოვჩნდებით გადაყვანილნი სატანის ძალაუფლებიდან ღმერთთან, ჩვენ არა მარტო გვაქვს ცოდვების პატიება, ჩვენ ასევე ვღებულობთ ღვთაებრივ მემკვიდრეობას.
 - 2. ეს მემკვიდრეობა არის თვითონ სამერთიანი ღმერთი ყველაფერთან ერთად, რაც მას აქვს, ყველაფერთან ერთად, რაც მან გააკეთა, და ყველაფერთან ერთად, რასაც ის გააკეთებს თავისი გამოსყიდული ხალხისათვის; ეს სამერთიანი ღმერთი განკაცდა ყოვლისმომცველ

ქრისტეში, რომელიც არის წმიდანების ხვედრი, მათი მემკვიდრეობა – კოლ. 2:9.

3. კეთილი მიწა ნამდვილად არის წინასახე ყოვლისმომცველი ქრისტესი, გამზადებული და დასრულებული სამერთიანი ღმერთის განკაცების, რომელიც მოცემული გვაქვს ჩვენ როგორც ჩვენი მემკვიდრეობა – 1:12.